პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

პარასკევი, 14 იანვარი, 1944 წ. № 10 (6904). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ ვასუნინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე სლუჩი და გუშინ, 11 იანვარს, იერიშით დაიკავეს ქალაქი სარნი, რკინიგზის დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი პოლესიეს მიმართულებით.

ქალაქ სარნის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-მაიორ ივანოვის ჯარებმა და პოლკოვნიკ მიხაილოვის არტილერისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ სარნის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „სარნის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 12 იანვარს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასობდათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალბით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი სარნი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ სარნის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ხიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 12 იანვარი.

უმაღლესი ჯილდო გვაჯალებს

სამამულო ომის დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობამ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. ეს არის სამშობლოს ჯილდო. მთავრობის ამ მაღალ ჯილდოს მთელი ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. სასიხარულო ცნობა დაჯილდოების შესახებ გაისმა, როგორც საბრძოლო მოწოდება საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის, ფრონტის, წითელი არმიის დასახმარებლად ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ომის დღეებში გმირული შრომით უპასუხეს დიდი სტალინის მოწოდებას. ფრონტზე მებრძოლ ქართველი ხალხის შვილთა მამაცობა აღფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ზურგში ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისდასაჩქარებლად.

ამ წარმატებების წყარო იყო და არის საკოლმეურნეო წყობილება, მისი ცხოველსუნარიანობა, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი.

1943 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 18 ათასი ტონით მეტი პური ჩააბარეს, ვიდრე 1940 წელს. ამასთან, თავიანთი გარდამტეხიდან კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 552 ათასი ფუთი პური, ხოლო 1944 წლის ანგარიშში ავანსად ჩაბარებულია მარცვლეული 1.000 ტონაზე მეტი. უნდა აღინიშნოს, როგორც სასიხარულო გამარჯვების ფაქტი, რომ ომის განმავლობაში მარტო მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობი 80 ათასი ჰექტარით გადიდდა.

შესანიშნავი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. სამამულო ომის პერიოდში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაზრდილია 120 ათასი სულით, ხოლო ცხვრისა და თხისა — 500 ათასი სულით. გამარჯვებები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მეგაელეებმა, ჩაის პლანტაციებისა და მტს-ების მუშაკებმა, ტრაქტორისტებმა.

60.578 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩაბარდა სახელმწიფოს 1943 წელს, მაშინ, როცა 1940 წელს ჩაბარებულ იქნა 51.700 ტონა.

ბოსტნეული კულტურები ჩაბარებულ იქნა 28.000 ტონა, რაც 1940 წელთან შედარებით 5.000 ტონით მეტია.

უკვე დამზადებულია 400 მილიონი ცალი ციტრუსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 350 მილიონი ცალისა. ციტრუსების კრეფა კვლავ გრძელდება და გეგმაც უფრო გადაჭარბებით შესრულდება.

ეს მიღწევები მოპოვებულია როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობა ჰექტარზე 1½ ცენტნერით გადიდდა. კოლმეურნეების თავდადებული შრომის, აგრეთვე აგრონომიულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მიღწეულია მაღალმოსავლიანობა სოფლის მეურნეობაში. ასევე მიღწეულია სატრაქტორო პარკის მაღალი გამოყენება. ჩვენმა კოლმეურნეობებმა, კოლმეურნე კაცებმა და ქალებმა თვალსაჩინო დახმარება გაუწიეს და კვლავ უწევენ გერმანელ ფაშისტ ავაზაკთაგან განთავისუფლებულ რაიონებს. პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოების დაუცხრომელი მუშაობა წინ სწევს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას და ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს საკოლმეურნეო სოფელს.

მთავრობის მაღალი ჯილდო მიიღო ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა. მათ შორის არიან ლენინის ორდენით დაჯილდოებულნი ალექსანდრე ანდრიას-ძე ბერაძვილი — გორის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე, გიორგი გოჯას-ძე ჯგუბურია — გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვენერა ევგენის-ასული ყუფუნია — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური — ჩაის ფოთლის სახელ განთქმული მკრეფავი, მიხეილ ფილიპეს-ძე ორაგველიძე — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფრო გიორგის-ასული უსენაშვილი — სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის სახელოვანი ტრაქტორისტი, ოლია ილიას-ასული ჩიგიტაშვილი—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ალექსანდრე პავლეს-ძე ჯიქია—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭალვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჰუსეინ ომერის-ძე ჯიჯავაძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ივანე ალექსის-ძე ქავთარაძე — წითელწყაროს რაიონის ჭიათურის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ივანე იოსების-ძე ფიროსმანაშვილი — წითელწყაროს რაიონის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ბევრი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე შედღეგით „შრომითი მამაკობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“. ყველა მათ მოიპოვეს შესანიშნავი გამარჯვებანი უხვი საბრძნო მოსავლისათვის ბრძოლაში. ისინი ცნობილი არიან რესპუბლიკაში თავიანთი გმირული შრომით.

მთავრობის მაღალი ჯილდო ახალი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებს! მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ფრონტს, ქვეყანას, წითელ არმიას! ეტი ნედლეული ჩვენს მრეწველობას! მაღალი ჯილდო გვავალებს ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, კიდევ უფრო წარმატებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობას, რომლის ზრდასა და განვითარებას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლავრენტი ბერია, ყველა პირობა აქვს და შესძლებს კიდეც მაღალი ჯილდოს პასუხად მიაღწიოს ახალ, მძლავრ აღმავლობას. იგი კიდევ უფრო გააძლიერებს დახმარებას ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით დაბავლეთისაკენ მიერეკება და სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, რითაც ახლოებს ჯერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამს.

გამოიცა ამხანაგ სვანიძის წიგნი „ლენინის შესახებ“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ამხ. ი. ბ. სტალინის წიგნი „ლენინის შესახებ“. სატიტულო ფურცელზეა ფაქსიმილე ამხანაგ სტალინის 1925 წლის 21 იანვრის წერილისა „რაბოჩაია გაზეთისადმი“:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი.

იბრძოლეთ და ამარცხეთ მტრები, შინაური და გარეშენი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა — ილიჩისებურად.

არასოდეს არა სთქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი“.

წიგნში შესულია ამხანაგ სტალინის სტატიები და სიტყვები: „ლენინი როგორც რჩ ორგანიზატორი და ბელადი“ — სტატია ლენინის დაბადების 50 წლისთავისათვის, „ლენინის გარდაცვალების გამო“—სიტყვა საბჭოების სრულიად-საკავშირო II ყრილობაზე 1924 წ. 26 იანვარს, „ლენინის შესახებ“ — სიტყვა კრემლის კურსანტთა საღამოზე 1924 წ. 28 იანვარს, სიტყვა ქალ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წ. 11 დეკემბერს დიდ თეატრში და სხვა მასალები.

წიგნის ტირაჟი 100 ათასი ეგზემპლარია. (საკდესი).

კიევში ამუშავებულია ფრამვაი

უკრაინის დედაქალაქში აღდგენილია გერმანელ ფაშისტი დამპყრობლების მიერ დანგრეული ტრამვაი. ვაგონები მოძრაობენ ოთხ მარშრუტით.

ტრამვაის აღდგენაში აქტიური მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მუშები, მოსამსახურენი და დიასახლისები. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 იანვრის ოპერაციული ცნობიდან

ბოზირის მიმართულებით ჩვენი ჯარები 11 იანვარს შეტევაზე გადავიდნენ და ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების განმავლობაში გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლი 30 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტით და 15 კილომეტრამდე სიღრმით, ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის კოზლოვიჩი, დავიდოვიჩი, ხოლოდნიკი, დოგანოვიჩი, ლაბეკი, უგოლოტი, ზელენოჩი, კოშიჩი, ბოგრაკოვიჩი, ბოგროჩიჩი, პრუდოკი, შარეიკი და რკინიგზის სადგური ბოგროჩიჩი.

შარაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე სლუჩი და გუშინ, 11 იანვარს, იერიშით დაიკავეს ქალაქი სარნი — რკინიგზის დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი პოლესიეს მიმართულებით, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის რომნოს ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური დოგბოკოვიცა.

ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები გაბრძოლდნენ შეტევას და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბუჟილოვიჩი, პიშჩევი, დუბლინკი, ტოქშირი, ტოკაროვი, ზაკრენიჩიე, ვერესნა, კოზოტოპი, ანუსინოვ.

ვინიცის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იერიშებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს.

ბელაია ცერკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

კიროვოგრადის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც განდევნეს მოწინააღმდეგე მისი თავდაცვის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

11 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 178 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 36 თვითმფრინავი.

* * *

13 იანვრის ოპერაციული ცნობა

13 იანვრის განმავლობაში მოზირის მიმართულებით ბელორუსიის ფრონტის ჯარები არმიის გენერალ როკოსოვსკის სარდლობით განაგრძობდნენ შეტევას. გაბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შირიჩი, ტუროვიჩი, სუხოვიჩი, დუდიჩი, გუდა, გულევიჩი, პენიცა, მიხალკი, ბიბიკი, ტავრიჩევკა, კამენკა, ზიმოვიშჩე, მოსკოვკა, პრუდოკი, ნაბოროზოე და რკინიგზის სადგურები იუშკი, გოლუბიცი, მიტვა, მიხალკი. ჩვენი ჯარები უშუალოდ მიადგნენ ბელორუსიის საოლქო ცენტრს—ქალაქ მოზირს, ქალაქსა და რკინიგზის დიდ კვანძს კალინკოვიჩს.

სარნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგურები ტუტოვიჩი, გრაფსკი კურენი, მალინსკი. ქალაქ სარნისათვის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 38 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 53 ნაღმსატყორცნი, 140 ტყვიამფრქვევი, 193 ავტომანქანა, 420 საზიდარი ტვირთიანად, 800 ცხენი და 6 საწყობი ჯარაღიანად, საომარ მასალიანად და სურსათიანად.

ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები გაბრძოლდნენ შეტევას და დაიკავეს რიგოზის ოლქის რაიონული ცენტრი—ქალაქი კორეცი, კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი ბერეზდივი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მედვედოვკა, ბოლშაია სოლპა, ველეზნიცე, დანიჩუვი, ბოლოვნიცა, ბრიკოვი, პოდუბცი, კილიკიევი, მუხარიოვი, კუტკი, კრასნოსტავი, მანიატინი, იაბლონოვკა, სენიგოვი, გოროდნიოვკა, კუპინო და რკინიგზის სადგური მაიდან-ვილა.

ბერდიჩევის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ვინიცის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იერიშებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს.

ჟიტომირ-ბერდიჩევის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, ბრძოლების შედეგად, გაიუმჯობესეს პოზიციები.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

12 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 87 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 102 თვითმფრინავი.

* * *

მოზირის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელებმა, რომლებიც უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდნენ მოზირ-კალინკოვიჩის რაიონს, აქ შეიქმნეს მძლავრი თავდაცვითი ზოლი და უბრალ მოამარაგეს იგი ცეცხლითი საშუალებებით. ერთ ვიწრო უბანზე მტერმა თავი მოუყარა 200-მდე საველე და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხს, ბევრ ნაღმსატყორცნს და ულობით ტყვიამფრქვევს. თავდაცვის სიღრმეში გერმანელებმა ააგეს დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც მოწყობილი იყო ორგლვივი თავდაცვისათვის. ჩვენმა ჯარებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა, მოახდინეს ღრმა შემოვლითი მანევრი და ფლანგიდან და უკნიდან დარტყმით მძიმე ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს. სამხრეთიდან მოქმედმა ჩვენმა სხვა ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა, განაგთავრეს შეტევა და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ზიმოვიშჩე, მოისეევკა, პოუდოკი, რომლებიც მოზირის დასავლეთ-მსროლელ ბოლქს და მოსპეს იგი. ბრძოლის ველზე დარჩა 1.000-მდე მოკლული ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე და დიდძალი საბრძველი.

* * *

კიროვოგრადის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლების მსვლელობაში გაიუმჯობესეს პოზიციები. ერთ რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარი, ტანკების დახმარებით, ხუთჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე და ცდილობდა დაებრუნებინა გუშინ დაკარგული დიდი დასახლებული პუნქტი. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. დაზიანებულია 13 ტანკი და გაფლეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაიონში მოლდაველი პარტიზანების რაზმი თავს დაესხა მოწინააღმდეგის აეროდრომს. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს მცველი რაზმი, დაშვეს გერმანელთა 10 თვითმფრინავი, 20 ტონა ბენზინი, 2 სავიელე ტელეფონის სადგური და ათეულობით ავიაბომბების საწყობი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა ფინელთა მე-3 ქვეითი ბრიგადის მე-3 ბატალიონის მე-10 ასეულის ჯარისკაცმა ლაური ტოივონენიტემ განაცხადა: „1941 წლის 18 ივნისს მე მობილიზაციით გამიწვიეს არმიაში და მას შემდეგ თითქმის განუწყვეტლივ ფრონტზე ვარ. რისთვის ვიბრძოდი მთელი ამ ხნის განმავლობაში? განმარტავდნენ რა ომის მიზნებს, ჩვენი გაზეთები სწერდნენ, „დიდი ფინეთისათვის“ ვიბრძოდით. ომის დასაწყისში მე ისე, როგორც ბევრ ახალგაზრდა, მჯეროდა, რომ ამ ომის შედეგად ჩვენს ხელში გადმოვიდოდა კარელია, მურმანსკის მხარე და ლენინგრადი. ამაზე ყველგან აშკარად ლაპარაკობდნენ, ომი გაჭიანურდა და ბევრ რუსების სასარგებლოდ შეტრიალდა. ახლა უკვე ყველანი ხედავენ, რომ გერმანია და მასთან ერთად, ფინეთიც გარდუვალად დამარცხდებიან. ხმაური „დიდი ფინეთის“ შესახებ გეგმების გარშემო დაცხრა. გაზეთებმა და ოფიციალურმა პირებმა ახლა იწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ფინეთი ვითომ თავდაცვითს ომს აწარმოებს, მაგრამ ოფიცრები სხვანაირად ფიქრობენ. ამ ცოტა ხნის წინათ მე-3 ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა იკონენმა ჩვენთან საუბარი ჩაატარა. მან გვიჩვენა ომისშემდგომი ფინეთის რუკა, რომელიც შეიცავს მთელ კარელიას, ლენინგრადს, მურმანსკის რკინიგზას და მურმანსკის რკინიგზას. მაიორი მოგვიწოდებდა, გერმანელებისაგან ისწავლეთო. მან განაცხადა: „გერმანელები დიდი გერმანიისათვის იბრძვიან, ჩვენ კი მათთან ერთად „დიდი ფინეთისათვის“ უნდა ვიშრომლოთო. მაგრამ ყოველივე ეს ლიტონი სიტყვებია. ახლა გონებაჭრელნი შეცკორელებისთვისაც კი აშკარა ხდება, რომ რუსეთთან ომი ავანტიურაა, რომელსაც აუცილებლად ჩაფუშავა მოელს. ამ ავანტიურისათვის ფინეთს კიდევ მოუხდება პასუხისგება“.

მოზირის მიმართულებით

მოკმედი არმია, 13 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.). მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯარებმა რეჩიცა და გომელი დაიკავეს, გერმანიის სარდლობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კალინკოვიჩ-მოზირის დაჯგუფებას. ეს დაჯგუფება მნიშვნელოვნად გაძლიერებულ იქნა ქვეითი და სატანკო დივიზიებით, აგრეთვე მცველი და მესანგრე ნაწილებით. სანგრებს ხაზებსა და ნაღმიან ველებს იქით მდებარე დაბა-სოფლები მოწინააღმდეგემ ძლიერ დასაყრდენ პუნქტებად გადააქცია.

როდესაც ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მოზირის მიმართულებით, ფაშისტებმა გაფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ ჩვენი დარტყმის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მტერი ვერ გაუძლებდა და იძულებული გახდა დაეტოვებინა მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები. შეტევის პირველსავე დღეს საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვის წინა ხიდე და დაიკავეს 100 სანგარი. შემდეგ დაიწყო გაფთრებული ბრძოლები მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტებისათვის, მიდამოზე გაბატონებული მთელი რიგი მაღლობებისათვის. ჰიტლერელებმა სასოწარკვეთილად სცადეს შეეჩერებინათ ჩვენი ჯარები კონტრიერიშებით, რისთვისაც ბრძოლაში გამოჰყავდათ ქვეითი ჯარისკაცი და ტანკების დიდი ძალები. საბჭოთა მებრძოლებმა მედგრად მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები, უდიდესი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ და განაგრძეს წინსვლა.

ქვეითი ჯარის შემდეგ დაიძრნენ სატანკო ქვეგანაყოფები, რომლებიც მჭიდროდ თანამოქმედებდნენ არტილერიასთან. სატანკო ოპერაციის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გვარდიის ნ. ნაწილმა გრიგალისებურად დაუშინა ჰიტლერელთა თავდაცვის წინა ხიდეს. 10 წუთის შემდეგ მთელი ძალით ამოქმედდა ყველა ჯალიბის ჩვენი არტილერია და ანადგურებდა მტრის თავდაცვის სიღრმეს. სრულ 12 საათზე საიერიშოდ დაიძრნენ სატანკო ქვეგანაყოფები და მოტომსროლელები. ნახევარი საათის განმავლობაში მათ გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი და ღრმად შეიჭრნენ მის განლაგებაში. ტანკისტებმა, რომლებიც ბრძოლებს მტრის დასაყრდენი პუნქტების დასაკავებლად, დღის დამლევისთვის უნდ წაიწიეს 15 კილომეტრით.

გერმანელებმა სცადეს შეეკავებინათ შემტევნი, რისთვისაც ერთ-ერთ უბანზე მთელი რიგი გაფთრებული კონტრიერიშები მოიტანეს. ჩვენი ტანკისტები მტრის შებედნენ საფრებიდან გაჩაღებული ცეცხლით. ბრძოლის შედეგად მოსპობილ იქნა გერმანელთა 5 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი, 50-მდე ავტომანქანა ქვეითი ჯარისკაცით და 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ტანკისტები უაღრესად ძნელ პირობებში მოქმედებენ. მათ უხდებათ ჭაობების, გაუვალი არხებისა და ბატარა მდინარეების გადალახვა. მესანგრეები გზას უკაფავენ მანქანებს, აგებენ მათთვის გადასასვლელებს.

შეტევა გრძელდება. დღეს ჩვენმა ნაწილებმა ქალაქ მოზირის წინა ხაზებს მიაღწიეს და მოზირის კალინკოვიჩის გზა მოჭრეს.

ე. რატნერი

მთელი ძალები მჭრის გასანადგურებლად!

კიროვის სახელობის ქარხნის კომკავშირულ - ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების მიმართვა საქართველოს უფროსა კომკავშირულ - ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გმირული წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავისათვის მზადების დღეებში მთელი ჩვენი ფიქრები, მთელი ჩვენი სული და გული მიმართულია სამშობლოს სახელოვანი დამცველებისადმი—სახელოვანი არმიის მამაცი მეომრებისადმი.

ჩვენი დაუშრეტელი ძალები, ჩვენი ახალგაზრდული ენერგია დამორჩილებულია ერთი მისწრაფებისადმი—დავეხმაროთ ჩვენს ძმებს, ამხანაგებსა და მეგობრებს, რომელნიც თავიანთი სისხლის და თვით სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან სამამულო ომის ფრონტებზე. ზორაში ჩვენ გვსურს ჩვენი ფრონტელი ამხანაგების ღირსნი ვიყოთ. მთელ ჩვენს პატრიოტიზმს, მთელ ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი, ჩვენს სიყვარულს სამშობლოსადმი და სიძულვილს მტრისადმი გამოვხატავთ შრომით, ფრონტისადმი გაძლიერებული დახმარებით და შემტევი წითელი არმიისადმი ხელშეწყობით.

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს კომკავშირელები და მთელი ახალგაზრდობა, რომელნიც ბოლშევიკური ტრადიციებით აღვზარდა მტკვიცე სტალინელმა, ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა—ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, ვცოცხლობთ ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ხალხის ინტერესებით. ყოველი ჩვენგანი სულდგმულობს მისწრაფებით—იმუშაოს ზურგში ისე, როგორც იბრძვიან ჩვენი ამხანაგები ფრონტზე, იმუშაოს შეუსვენებლივ, იწრომოს ფრონტულად.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ახალი პატრიოტული მოძრაობა წარმოიშვა პასუხად საყვარელი ხტალინის ისტორიული მოხსენებისა, პასუხად მისი მოწოდებისა—კიდევ უფრო შეუპოვრად და ენერგიულად, კიდევ უფრო თავდადებულად იშრომეთ მტერზე სრული გამარჯვების მისაღწევადო. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ნორმის, გეგმის პროცენტის შესრულება მტრისათვის ნასროლი ყუმბარაა. ამიტომ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები გამოვიდენ იმის ინიციატორებად, რომ ბრიგადებში მუშათა რაოდენობის შემცირებით, სამუშაო დღის შემოკლებითა და წარმოების რაციონალიზაციით გადიდებულ იქნას შრომის ნაყოფიერება.

კომკავშირელებს, საბჭოთა ახალგაზრდობას! შესანიშნავი ტრადიცია აქვთ—ბოლშევიკ ჩვენი ხალხის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღები, ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით შეეგებონ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებს.

ახლოვდება გმირული წითელი არმიის XXVI წლისთავი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავი. შევხვდეთ ამ სადღესასწაულო დღეებს კომკავშირულ-ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების ახალი ალმავლებით, ფრონტისადმი ჩვენი დახმარების გაძლიერებით.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლებში წითელმა არმიამ უჭკნობი სახელი მოუხვეჭა თავის დროზე. დაუჩრდილავი დიდებით არის მოსილი ჩვენი ხალხის შრომითი ღროშებიც, სოციალისტური შეჯიბრების დროშებიც, რომლებითაც თავდადებულად შრომობს მილიონოსანი მეტინის მონდობილობით:

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი შ. შ. ჯანიაშვილი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ნ. ს. ჯელიძე, ფრონტული ბრიგადის ბრიგადირი შ. შ. ტრიპიანი, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი შ. ი. ოდიშარია, პატივსაცემის ორდენოსანი ბიუროსა და საფრონტო ბრიგადის ბრიგადირი შ. შ. სტრესოვა, საამქროს უფროსის მოადგილე ნ. ზ. ვარდანაშვილი, ფრონტული ბრიგადის ხარატი შ. ზ. ბარბაძაძე, ზენკალი ს. ა. ოჩხარიძე, ზენკალი ნ. ს. ჩიტაშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ქ. ა. პროზოროვი, ჭარხნის დირექტორი შ. ე. სარიშვილი, პარტკომის მდივანი ნ. ა. შირცხალავა.

საქართველოს ალკპ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოიწონა კიროვის სახელობის ქარხნის კომკავშირულ - ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების ინიციატივა, რომლებმაც საქართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდულ და ფრონტულ ყველა ბრიგადას მოწოდებით გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თავდაცვითი პროდუქციის ზეგეგმით გამოშვებისათვის მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავის აღსანიშნავად.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაავალა სახ. ალკპ სოლოქო, სახელოქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა მუშებს, სოციალისტური შეჯიბრების გაშლით მრეწველობისა და ტრანსპორტის, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სახელოსნოებით ადამიანი აღტკინებით შრომობდეს, ნაყოფიერად გაატაროს მეტინი.

ვემებით რა შეჯიბრების, ვალდებულებას ვკისრულობთ:

1. 23 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით მივცეთ ფრონტს 300.000 მანეთის თავდაცვითი პროდუქცია.

2. ორი თვის საწარმოო გეგმა შევასრულოთ ვადამდე 23 თებერვლისათვის.

3. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით 25 კაცით შევამციროთ მუშათა რიცხვი კომკავშირულ-ახალგაზრდულ და ფრონტულ ბრიგადებში.

4. თითოეული კომკავშირულ-ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადის შრომის ნაყოფიერება 10 პრო

მეცნიერი მუშაკები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ — (ზევით) ბ. იაკობაშვილი — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ვ. ღვალაძე — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, დ. გედევანიშვილი — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მ. ტაბლიაშვილი — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით; (ქვევით) კ. მელქაძე — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ლ. ყანჩაველი — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ა. ნატროშვილი — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს უპასუხებენ ახალი ვალდებულებებით

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გზშირ შესდგა მიტინგი. მიტინგი გახსნა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ქ. დგებუაძემ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ მიტინგს გააცნო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბ. იაკობაშვილმა, რომელმაც განაცხადა—მაღალი ჯილდო გვავალებს კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშაოთ ფრონტის დასახმარებლად. სიტყვას ვაძლევთ პარტიას და მთავრობას, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ სამეცნიერო მუშაობას.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორმა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სასწავლო ნაწილში ამხ. ვ. ღვალაძემ.

ზურგის მუშაკების ამ დიდმა შეფასებამ და მაღალმა ჯილდომ ახალი ძალა და ენერგია შეგვმატა—განაცხადა თავის სიტყვაში „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულმა, ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგემ ამხ. ი. ლომოურამა. მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად მთელ ჩემს ენერგიას და ცოდნას მოვახმარებ სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს, ვერაგი მტრის—გერმანელი ფაშისტების სრული განადგურების საქმეს.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს შრომის წმილი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის გამგემ ამხ. დ. გედევანიშვილმა, ინსტიტუტის სუბტროპიკული მებოსტნეობის კათედრის დოცენტმა ამხ. მ. ტაბლიაშვილმა; „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულმა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორმა, ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დეკანმა ამხ. კ. მოდებაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მაღალი ჯილდოს საპასუხოდ კიდევ უფრო თავდადებულად იმუშაებენ იმისათვის, რომ ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მზრუნველობით გამოუზარდონ მზღალკვალიფიციური კადრები.

დაჯილდოებულთ მიესალმა დოცენტი ამხ. ნაჭყებია და ფრიადოსანი სტუდენტი ამხ. დათუნაშვილი.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ინსტიტუტის კოლექტივი სიხარულით მიესალმება საბჭოთა მთავრობის დადგენილებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკების შესახებ და სიტყვას იძლევა, რომ კიდევ უფრო ფრთოდ გაშაღებენ მუშაობას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, რომ ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურების დაჩქარების საქმეში.

სოფლის მეურნეობის აქტივის რაიონული თათბირი

გორი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამ დღეებში შესდგა გორის რაიონის სოფლის მეურნეობის აქტივის რაიონული თათბირი.

თათბირს ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეროლურები, სტახანოველი კოლმეურნეები, მტკნების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. საკოლმეურნეო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და სასოფლო-საბჭოების თავმჯდომარეები.

თათბირის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: 1943 სასოფლო-სამეურნეო წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და საგაზაფხულო თესვისთვის მზადება. მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ბუჯიაშვილი. როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, გორის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში კასპისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობებთან, გასული წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თვალსაჩინო წარმატებებით დაამთავრეს. საგაზაფხულო თესვის გეგმა 103 პროცენტით შესრულეს, საშემოდგომო თესვისა—102 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მჭიდროდ ხვნის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის, მეფრინველეობის განვითარების გეგმები. ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებანი თავის დროზე და პირნათლად შესრულეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელეს თავი ახალი უბნის (თავმჯდომარე ს. გეურჭოვი), მექვაბიანთ-უბნის კოლმეურნეობა „მაგალითმა“ (თავმჯდომარე ლენინის ორდენოსანი ა. ბერაშვილი), კოლმეურნეობა „წითელმა თორთლამ“ (თავმჯდომარე ორდენოსანი ს. ბერძენიშვილი), ხელოუბნის კოლმეურნეობა „განთიადმა“ (თავმჯდომარე ი. ჯანეზაშვილი) და სხვა კოლმეურნეობებმა. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა საგრძნობლად ჩამორჩა გეგმების შესრულებაში. კერძოდ, აძვის, ზემო ხვთის, ფხვენისის, ახალდაბის კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველჰყვეს საკოლმეურნეო მასის დარიაზება გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად, რის გამოც გეგმები ვერ შეასრულეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება რაიონი საგაზაფხულო თესვისათვის. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში აღინიშნენ ახალი უბნის, მექვაბიანთ-უბნის, თორტიზის, ხელოუბნის კოლმეურნეობები, რომლებმაც ძირითადად უკვე დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი, მოიმარაგეს სათესლე მასალა, გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანეს მუშა-პირუტყვი.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ა. ბერაშვილი, ჯ. ამაღაია, კ. ფაქაია, ა. კაჭანაძე, ა. შარაშიძე, ი. ღოლიაშვილი, ი. ჯანეზაშვილი, შ. მაზმიშვილი, ს. ჯუჯუანი, გ. ქარელი და სხვები, სულ 17 ამხანაგი. მათ უმთავრესად ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის და როგორი შრომითი აღფრთოვანება და ენტუზიაზმი გამოიწვია კოლმეურნეობა შორის ცსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ, კერძოდ, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის 14 მოწინავე ადამიანის დაჯილდოებამ ორდენებითა და მედლებით.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხაშვილი, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრაზე, რომლებიც დასმულია რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე საგაზაფხულო თესვისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

თათბირზე გამოქვეყნებულ იქნა 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გაჩარჯვებულ კოლმეურნეობათა სია. სოციალისტური შეჯიბრების რაიონული კომისიის გადაწყვეტილებით რაიონული გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ახალი-უბნის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. გეურჭოვი), რომელმაც გასულ წელს მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა.

თათბირმა 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით მომზადება-ჩატარებისათვის იკისრა შემდეგი ვალდებულებების შესრულება: 25 იანვრამდე დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, აქედე რიცხვისათვის საქირო რაოდენობით მოიმარაგონ მარცვლეულის თესლი, ხოლო ბოსტნეულისა და სხვა კულტურათა თესლი—15 თებერვლამდე. ამავე ვადებში ქობდინონ თესლის ლაბორატორიული შემოწმება, გაწმენდა და კონდიციამდე აყვანა, ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების შემოდგომა-ზამთრის რემონტი დაამთავრონ 1 თებერვლამდე, 1 მაისამდე დაამთავრონ კომბაინების მოტორებისა და ძრითადი აგრეგატების რემონტი, მუშა-პირუტყვი 15 იანვრიდან გადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე, 1 მარტამდე გაიტანონ მინდვრად ნაკელი, საგაზაფხულო თესვისათვის ნიადაგის მომზადება დაამთავრონ 15 აპრილისათვის; საგაზაფხულო კულტურები დასთესონ 17.500 ჰექტარზე, მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების თესვა დაამთავრონ 30 აპრილამდე, ჭარხლის თესვა 1.000 ჰექტარზე ჩაატარონ 20 აპრილამდე, ყველა ხილ-კენკეული კულტურა დასთესონ 5 ივნისამდე, ზამთრის პერიოდში ხეხილის ბაღების მთელ ფართობზე ჩაატარონ მწკრივში ხვნა რიგების დაბარვა და ხეხილის ძირების შეპობვრა, 20 თებერვლამდე ფართობები გაასუფთავონ ბაღების მავნებლებისაგან, 10 მარტამდე დაამთავრონ ვენახების მთელი ფართობების დაბარვა და 15 მარტამდე—მისი საგაზაფხულო დამუშავება, გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა რაიონებისათვის დაამყონონ 100 ათასი ძირი ვაზი, ამავე მიზნით დასთესონ 150 ჰექტარი მარცვლეული და მათვე გამოუყონ და გაუგზავნონ 325 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი. ასევე კონკრეტული ვალდებულებანი იქნა აღებული მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კადრების გადამზადებისა და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების დარგში.

თათბირმა იკისრა აღნიშნულ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს კახეთისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

გეგმის გადამეტებით 73 მილიონი ცალი ციგრუსი

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ხარდადი ტემპებით გრძელდება ყველა სახის ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა და დამზადება. 10 იანვრისათვის გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 72.942.000 ცალი ნაყოფი. სეზონის განმავლობაში მოკრეფილია 147.019.800 ცალით მეტი ნაყოფი, ვიდრე შარშან ამავე ხნის განმავლობაში. (საქდესი).

თბილისის სკოლების მუშაკთა თათბირი

10 იანვარს, სასწავლო წლის მეორე ნახევრის დაწყების წინადღეს, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში შესდგა თბილისის სკოლების მუშაკთა თათბირი, რომელსაც გახსნა თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. კიზირიამ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ გააკეთა ვრცელი მოხსენება დიდი სამამულო ომის პერიოდში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორჩი თაობის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრება საბჭოთა სკოლას, საბჭოთა პედაგოგს, მშობელს, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს. საბჭოთა სკოლა უნდა ემსახურებოდეს სოციალიზმის საქმეს და უნდა იყოს კომუნიზმის იდეის მსლავრი და ეროვნული განმტარებელი. ასეთია საბჭოთა სკოლა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა სკოლაში აღზრდილი მებრძოლები თავდადებულად იბრძვიან სამამულო ომის ფრონტზე სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

მომხსენებელმა დაასახელა ბევრი სამაგალითო პედაგოგი და მათი სწავლების მისაბაძი ნიმუშები. ასეთები არიან ე. ფალავანდიშვილი, თ. ფერაძე, კ. ჩხენკელი, მ. ზაშჩიკი, ნ. კუხარსკი, ნ. ბიბურია, ო. მაღალაშვილი, ე. მჭედლიშვილი. რომლებიც სკოლაში გასაველელ მასალას მოხერხებულად იყენებენ იმისათვის, რომ გააღვივონ ბავშვებში გმირობა, ვაჟკაცობა, თავდადება, უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი და ამავე დროს ჩაუნერგონ სიძულვილი მტრებისადმი.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე ზოგიერთი სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაში არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ საბჭოთა აღმზრდელ-პედაგოგისათვის სავალდებულოა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. საბჭოთა პედაგოგი მოვალეა დაეხმაროს მოსწავლეებს მაოფლმხედველობის შემუშავებაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ თვით პედაგოგის მაოფლმხედველობა იყოს მარქსისტულ-ლენინური.

მომხსენებელმა მოუწოდა პედაგოგ-აღმზრდელებს აღზარდონ ჩვენი ახალგაზრდობა ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის მდიდარ ტრადიციებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. ა. კვაჭაძემ, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ყორეიკაშვილმა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში

6 იანვარს, აკადემიის პრეზიდენტ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა საერთო კრება.

კრების დღის წესრიგში პირველ საკითხად იდგა — საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეორე ვიცე-პრეზიდენტის არჩევა.

ფარული კენჭის ყრით საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეორე ვიცე-პრეზიდენტად ერთხმად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ნ. ნ. კეცხოველი.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა პროექტი ინსტრუქციისა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა მომავალი არჩევნების მოსაწყობად საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების ხასით. ავრეთვე გამოჰკო კანდიდატთა შერჩევა საეჭვარტო კრებისები. არჩევნები შედგება თებერვლის დღეებში.

გადაწყდა, რომ საანგარიშო მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის 1943 წლის საქმიანობის შესახებ მოისმინოს იქნას აკადემიის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც თებერვალში შესდგება. ამავე კრებაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნება აკადემიის 1944 წლის მუშაობის გეგმა.

საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიკოსის ს. ნ. ჯანაშიას აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად და პროფ. ვ. ტ. თოფურია აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის დირექტორად, რომელნიც ამ თანამდებობაზე არჩეულნი არიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების წარდგინით მცენარეობის დაცვის ინსტიტუტის დირექტორად დამტკიცებულ იქნა დოცენტი ლ. ყანჩაველი, ბოტანიკური ბაღის დირექტორად პროფ. ვ. გულისაშვილი, მემინდვრეობის სადგურის დირექტორად — დოც. გ. ჯვაჭაძე, მევენახეობა-ღვინოების ინსტიტუტის დირექტორად დოც. ს. დურმიშიძე.

დღეები

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას

ლონდონი, 12 იანვარი (საქდესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ 11 იანვარს დღისით ამერიკის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა შორი მოქმედების ავიაგამანადგურებლების თანხლებით, ავრეთვე ინგლისისა და მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი თვითმფრინავების დახმარებით იერიში მიიტანეს მთელ რიგ ობიექტებზე ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

რეიტერის საააგენტო აღნიშნავს, რომ ამ ოპერაციის დროს მოხდა დიდი საჰაერო ბრძოლა, რომელშაც სამ საათს გასტანა. მფრინავეები იუწყებიან, რომ დასახულ ობიექტთა დაბომბვა მეტად წარჩინებითი იყო.

ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაზე ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 13 იანვარი (საქდესი). ოფიციალური წრეებიდან მიღებული ცნობებით, ამერიკის ბომბდამშენებმა, რომლებიც 11 იანვარს თავს დაესხნენ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას, გამოიყენეს მთლიანი ღრუბლიანობის პირობებში ობიექტების დაბომბვის ახალი ტაქტიკა. საჰაერო ბრძოლა თანმხლებელ ავიაგამანადგურებლებსა და გერმანიის თვითმფრინავებს შორის გერმანიის მთელ დასავლეთ ნაწილში ხდებოდა და სამ საათს გრძელდებოდა. საჰაერო ბრძოლების რაიონი აღწევდა იმ პუნქტებამდე, რომლებიც სულ 90 მილით არის დაშორებული ბერლინს. ფიქრობენ, რომ ამერიკის 59 ბომბდამშენიდან, რომლებიც თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულან, ზოგიერთი დაეშვა შორეულ პუნქტებში — ინგლისის ტერიტორიაზე.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 12 იანვარი (საქდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ფრონტზე გრძელდებოდა ინგლისელთა და ამერიკელთა ჯარების წინსვლა. დაკავებულია ახალი ზღუდეები და მათზე ლუკმედირებულია ჭარის წინააღმდეგობის კერები; გამაგრებულია მოკავშირეთა ჯარების მოწინავე ხაზები. ორივე არმიის ფრონტის მთელს მანძილზე სწარმოებდა მოკავშირეთა მოწინავე რაზმების აქტიური მოქმედება.

მძიმე ბომბდამშენთა მნიშვნელოვანი ძალები 11 იანვარს თავს დაესხნენ პირის ნავსადგურს (სამხრეთით) აღნიშნულია ხანძრები და დიდი აფეთქება. მოკავშირეთა ღამის ბომბდამშენებმა 11 იანვარს ღამით კვლავ დაბომბეს იგივე ობიექტი.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 12 იანვარი (საქდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით ცენტრალურსა და დასავლეთ ბოსნიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ ჰიტლერელთა საოკუპაციო ჯარებს, რომლებიც ხუთი მიმართულებით უტევენ და ცდილობენ შეიჭრან განთავისუფლებულ ტერიტორიაში. გერმანიის ჯარებს დიდი ზარალი მოსდით.

ფრონტის დანარჩენ სექტორებში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები წარმატებით ესხმიან თავს მტრის გარნიზონებს, საოკუპაციო ჯარების კოლონებს და კომუნიკაციებს, რომლებითაც მოწინააღმდეგე სარგებლობს.

ჟენევა, 13 იანვარი (საქდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, ჰიტლერელთა ჯარები და უსტაშები წინანდელი ძალით გააგრძელებენ შეტევას ცენტრალურ ბოსნიაში. ტრავნიკის სექტორში გაჭარწყულებულია გერმანელთა ერთი დივიზიის და უსტაშების ყოველი ცდა გაეჭრელვინათ ხიდი პანტარა მდინარეზე კარლოვაც-ოგულინის რკინიგზის ლიანდაგზე. მოკლულია 80-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ იგდეს 80 ტყვე, 100 შაშხანა, 10 ტყვიამფრქვეველი, ნაღმსატყორცნი ნაღმებიანად და 14 ჯავშნიანი ვაგონი.

ვიშის ყოფილ მომხრეთა მომავალი გასამართლება აღქირში

ლონდონი, 12 იანვარი (საქდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ალჟირიდან გადმოგვცემს, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის იუსტიციის კომისარმა ფრანსუა დე მანტონმა გუშინ საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეის სხდომაზე განაცხადა, რომ სამხედრო ტრიბუნალი რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის პეტენ ფლანდენის, ალჟირის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის მარსელ პეირუტონის, საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის ყოფილი გენერალ გუბერნატორის პიერ ბუასონის, ვიშის მთავრობის ყოფილი ავიაციის მინისტრის გენერალ ჟან ბერჟერეს და 283 სხვა პირის გასამართლებას. დე მანტონმა აღნიშნა, რომ ბრალდებულთ წაყენებული აქვთ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

სოფიის თავზე გამარჯვული საჰაერო ბრძოლის შედეგები

ლონდონი, 13 იანვარი (საქდესი). როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, ახლა მიღებულია ზუსტი ცნობები სოფიის თავზე გამართული იმ საჰაერო ბრძოლის შედეგების შესახებ, რომელიც 10 იანვარს მოხდა ამერიკის ბომბდამშენებსა და ამერიკის მე-15 არმიის ჭაბუკ მებრძოლებს შორის. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა ბომბდამშენმა და ისარდებლა 1.000-ზე მეტი ჭაბუკი მებრძოლი. ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულ იქნა 72 ბომბდამშენი და 28 ჭაბუკი მებრძოლი. ამერიკის ბომბდამშენებმა ჩამოაგდეს მტრის 28 თვითმფრინავი.

თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის ჩაკმაკის გადადგომა

ანკარა, 13 იანვარი (საქდესი). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ გადადგა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი ბრშალი ჩაქმაკი ზღვრული ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით. მის ადგილას დანიშნულია გენერალური შტაბის უფროსის ახლანდელი მოადგილე გენერალი ქიაზიმ ორბაი.

მეათე სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ჰაერსაწინააღმდეგო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1944 წლის 1-ლი თებერვლიდან 1-ლ მაისამდე ჩაატაროს მეათე სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ჰაერსაწინააღმდეგო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში.

სრულიად-საკავშირო შეჯიბრების წინ გამართება რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური შეჯიბრებანი.

თავდაცვითი მუშაობის აქტივისტები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს გვიჩვენებენ ჰაერსაწინააღმდეგო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაზით მოსახლეობის მომზადებაში, დაჯილდოებულნი იქნებიან სიგელებით და ნიშნით „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის“.

თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციები, რომლებიც შეჯიბრებაში პირველ ადგილებს დაიკავებენ, დაჯილდოებულნი იქნებიან სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით. (საქდესი).

მოსწავლეთა ნარმაგებულობისა და ყოფაქცევის შეფასების ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემის შემოღება საქართველოს სსრ სკოლებში

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის ბრძანებით დაწყებითის, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა წარმატებულობისა და ყოფაქცევის შეფასების დღემდე არსებული სიტყვიერი სისტემა—ფრიადი, კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი იცვლება. მის ნაცვლად მიმდინარე წლის 11 იანვრიდან შემოღებულია მოსწავლეთა წარმატებულობისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემა: 5, 4, 3, 2, 1.

გეგმის შესრულება

წულუკიძის რაიონმა 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები გადაჭრებით შეასრულა. სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით ჩაბარებულია 1.210 ცენტნერი ხორცი, გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. წითელი არმიის ფონდში შეტანილია 92 ცენტნერი ხორცი, გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით; მიმდინარე წლის ანგარიშში ავანსად ჩაბარებულია 164 ცენტნერი ხორცი, ყველის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, მატყლის ჩაბარებისა—100 პროცენტით, სოიასი — 107 პროცენტით. მტს-ის ნატურანაზღაურებისათვის სოია ჩაბარებულია 30 ტონა, გეგმის 100 პროცენტი, ნატურანაზღაურებისათვის ჩაბარებულია 101 ტონა სიმინდი, გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, სახელმწიფო შესყიდვის სახით ჩაბარებულია 40 ტონა სიმინდი, მეცხოველეობის განვითარების გეგმა შესრულებულია მთლიანად, 1 იანვრისათვის გეგმის გადამეტებით საშემოდგომო ხნული ჩატარებული იყო 1.200 ჰექტარზე.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი გოგრიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ციბაძე

თბილისის ცირკი

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო ცირკში დაიწყება ცირკის მსახიობთა კოლექტივის გამოსვლები რსფსრ დამსახურებული არტისტის ორდენოსანი კიოს მხატვრული ხელმძღვანელობით.

კიოს კოლექტივში შედიან: მორუსის დასი (ფრენა პარტერში), შირმანის ჯგუფი (ზოონიალური ექსცენტრიკოსები), პლონერის დასი (იპრობული თამაში), ტიხონოვები (სნაიპერები). შარის დასი (ეონგლიორები), ევგენი და მ-ნელი (ბუფონადური მასხარები), კუდაშოვების ჯგუფი (ველოსიპედისტები-ფიგურისტები), ირვენის ჯგუფი (აკრობატი-ექსცენტრიკოსები) და ილუზიონისტი კიო თავისი ასისტენტებით.

კიოს კოლექტივი თბილისის მაყურებელს უჩვენებს სრულიად ახალ პროგრამას, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს ილუზიონურ მიმოხილვას მრავალი ახალი ნომრით.

კიოს დასს რეპერტუარში აქვს სამი სრული პროგრამა. პირველი პროგრამის ყველაზე საინტერესო ნომერია ქალის დაწვა.

კიოს კოლექტივი თბილისს ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც მისი გამოსვლები დიდი წარმატებით სარგებლობდა.

ლექციები და მოხსენებები

14 იანვარს, ხადამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლებისათვის შესდგება დოც. **ალექსიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„გერმანული ფაშიზმის ანტიდემოკრატიული კონცეფცია და უძველესი ისტორია“.** შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

14 იანვარს: **სახოპერა** — „აღი“. **რუსთაველის** — „ღალატი“. **მარჯანიშვილის** — „სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი“. **გრიბოედოვის** — „ერთი ღამის შეცდომები“. **სომხური** — „ღალატი“. **მოზარდ მაყურებლის** — ქართული — „ჩექმებიანი კატა“.

კინოებში

14 იანვარს: **რუსთაველი** — „ჯორჯი დინკი - ჯაზიდან“. **ოქტომბერი** — „ოცნება“. **დამკვრელი** — „გოორგი საააძე“, მე-2 სერია. **კომკავშირელი** — „მელოდი“. **ლუქსემბურგის სახ.** — „მელოდი“. **სპარტაკი** — „სალაყათ იულაევი“.

საქ. სსრ მთავლიტის თანამშრომლები იუწყებიან **ვიქტორ მელტონის-ძე გურგენიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 16/I, 2 ს. შაუმიანის, 63. 48

დედა ქეთო ჩხეიძე, ბებია კატო, დეიდები იუწყებიან **პატარა მანანას** გარდაცვალებას. პანაშვ. 14/I, 7 ს. კამოს, 87. გამოსვ. 15/I, 5 ს. 39

თბილისის I საერთშლო სკოლის კოლექტივი იუწყება **მიხეილ ერმალოზის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვ. 15/I, 6 ს. რუსთაველის, 19. დაკრძ. 16/I, 2 ს. 40

მშობლები შოთა, მარო ბოკორიშვილები, და ბუბულა, ბიძები, ბაბუები იუწყებიან **ზაირას** გარდაცვალებას. გამოსვ. 15/I, 5 ს. ჟორესის, 39. 41

ცოლი ქეთო, შვილები ნათელა, მიშა იუწყებიან **მიხეილ გაიოზის-ძე ნაჭყებიას** გარდაცვალებას. გამოსვ. 14/I, 5 ს. მონტინის, 33. 42

შვილები კაკო, გეროინტი, ანიკო, რაძალოლია შვილებით იუწყებიან **ნიფადორა ბეჭაიას** გარდაცვალებას. 44

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-30-83, სამხედრო, განათლება-კულტურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

УЭ 00018

კერზონის ხაზი

(ცნობა)

„საბჭოთა მთავრობის განცხადებაში საბჭოთა კავ